თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №11

23 მარტი 2018 წ.

ქ. თელავი

**თელავის მუნიციპალიტეტის 100 %-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების - შ.პ.ს. „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური"-ს შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" $106^1$ მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ" $14^4$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, თელავის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი მეწარმე იურიდიული პირების - შ.პ.ს. „თელავის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"-ს (ს/კ 231281109) და შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური"-ს (ს/კ 431171929) შერწყმის (გაერთიანების) მიზნით რეორგანიზაციის პროცესის განხორციელების თაობაზე.
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე